მდგრადი განვითარების ფესტივალი

SDG Festival in Georgia

მდგრადი განვითარება ყველასთვის • LEAVE NO ONE BEHIND

ათასობით სტუმარი და მონაწილე ჩაერთო მდგრადი განვითარების 2019 წლის ფესტივალში „მდგრადი განვითარება ყველასთვის“, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თაოსნობით 2019 წლის 7 ივნისს ამბროლაურში გაიმართა.

ფესტივალის მსვლელობაში ამბროლაური ერთი დღით მდგრადი განვითარების ქალაქად გადაიქცა. ქუჩებში, მოედნებსა და სკვერებში სპორტული ღონისძიებები, საგანმანათლებლო და გარემოსდაცვითი აქტივობები, სემინარები და გამოსვლები გაიმართა. საფესტივალო ღონისძიებებში ჩაერთვნენ მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, ფერმერები, დიპლომატები და პოლიტიკოსები.

მდგრადი განვითარების ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს გაეროს ოფიციალურმა პირებმა, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებმა, საქართველოში აკრედიტირებულმა ელჩებმა, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მაცხოვრებლებმა, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა.

Thousands of Georgians gathered in the town of Ambrolauri on 7 June 2019 to take part in the country’s second national Sustainable Development Goals (SDG) Festival, initiated and organized by the United Nations in Georgia. The slogan of this year’s edition of the Festival echoed the core theme of sustainable development to “Leave No One Behind.”

The SDG Festival transformed public space in Ambrolauri into a colourful display of activities illustrating the country’s efforts to achieve the Sustainable Development Goals. The busy agenda included sport activities, interactive seminars and workshops, talks and exhibitions featuring SDG activists and supporters from different walks of life – writers, artists, researchers, students, teachers, school children, farmers, diplomats and politicians.

The Festival was organized with the support of a wide range of partners, including UN agencies and donors, the Government of Georgia, the administration of the Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti region, Ambrolauri Municipality, and many others.

ამბროლაურში იმისთვის ჩამოვედით, რომ უშუალოდ ადამიანებთან, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ვისაუბროთ მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, განვიხილოთ ადამიანის უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობა და გარემოსდაცვითი მდგრადობა. იმედი გვაქვს, რომ კერძო სექტორი, მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება, მედია და აკადემიური წრეები შეუერთდებიან ჩვენს საერთო ძალისხმევას მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

We are here in Ambrolauri to discuss the SDGs and how they relate to human rights, gender equality and environmental sustainability with people directly. We hope the private sector, government, civil society, media, academia and all of you will join our work towards achieving these very ambitious goals.

საბინე მახლი გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში
Sabine Machl UN Resident Coordinator in Georgia

საქართველომ უნდა მიაქციოს ყურადღება თავის მდიდარ ბუნებას და მის შენარჩუნებას. ჩვენი მოვალეობაა ისეთ განვითარებას მივაღწიოთ, რომელიც ადამიანებსა და გარემოს დაიცავს და ჩვენს უნიკალურ ქვეყანას მსოფლიოს შეუნარჩუნებს.

Georgia needs to protect its extraordinary nature. It's our duty to achieve development in a way that protects both the natural resources and the people preserving our country as a part of the world's heritage.

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტი
Salome Zourabichvili President of Georgia

მდგრადი განვითარების 17 მიზანი გლობალური დღის წესრიგია, მაგრამ მისი არსი მხოლოდ ერთი მარტივი წინადადებით გამოითქმის - მდგრადი განვითარება ყველასია, არავინ დარჩეს განვითარების მიღმა. ეს ნიშნავს, რომ ყველას ინტერესი თანაბრად უნდა იყოს დაცული. განვითარების შედეგებით ყველამ უნდა ისარგებლოს, მათ შორის გაჭირვებულმა და მოწყვლადმა ადამიანებმა და იმ რეგიონებმა, რომლებიც ეკონომიკური ზრდის შედეგებით ჯერ კიდევ სრულად ვერ სარგებლობენ.

The 17 Sustainable Development Goals sound like a very big agenda, but it can be summarized in a very simple phrase - to leave no one behind. That means to look out to the interests of those who are suffering from poverty, who are vulnerable, but also to look out to the regions and communities that are missing out on the benefits of economic growth.

ლუიზა ვინტონი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში
Louisa Vinton UNDP Resident Representative in Georgia

ჩემთვის პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა, რომ თითოეულ ადამიანს მივაწოდო სწორი და გამჭვირვალე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნები, რატომ არის მნიშვნელოვანი მათი შესრულება და ზოგადად რას ნიშნავს მდგრადი განვითარება, თუკი შინაგანი, პიროვნული განვითარებიდან დავიწყებთ. მაქსიმალურად ვეცდები ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე ჩავაქსოვო მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციაში და მჯერა, რომ ეს შედეგს გამოიღებს.

I am honoured with an opportunity to talk to people about sustainable development and explain how it contributes to the country's progress and our personal progress too. I will do whatever it takes to promote the SDGs. I firmly believe that our joint efforts will bring the positive results.

ირმა ხეცურიანი მსოფლიოს ჩემპიონი ეტლით ფარიკაობაში
საქართველოს კეთილი ნების ელჩი მდგრადი განვითარების საკითხებში

Irma Khetsuriani World Champion in Wheelchair Fencing
Georgia's Goodwill Ambassador for Sustainable Development Goals

ამბროლაურში მდგრადი განვითარების ფესტივალის გამართვა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენს რეგიონს სწორედ მდგრადი განვითარება და მეტი პოპულარიზაცია ესაჭიროება. რაჭის ძირითადი გამოწვევა მიგრაცია და დემოგრაფიული პრობლემებია. მდგრადი განვითარება აუცილებელია, რათა ეს პროცესები შევაჩეროთ და ჩვენს რეგიონს მიმზიდველობა დავუბრუნოთ - როგორც აქედან წასული მაცხოვრებლებისთვის, ასევე რეგიონის სტუმრებისთვის. მჯერა, რომ რაჭას განვითარების უდიდესი პოტენციალი აქვს.

Hosting the SDG Festival in Ambrolauri is a great opportunity for our region. Sustainable development and more visibility are exactly what we need here. Migration is the biggest challenge we are facing in Racha. We need to catch up with development to reverse that process and turn Racha into a good place to live in and a popular destination for visitors.

არჩილ ჯაფარიძე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის რწმუნებულ-გუბერნატორი

Archil Japaridze Governor of Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti

შვეიცარია 2030 დღის წესრიგის აქტიური მხარდამჭერია და თავისი საგარეო პოლიტიკისა და განვითარების საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით ბევრს აკეთებს მისი წარმატებული განხორციელებისთვის. საქართველოში ჩვენი საქმიანობის ძირითადი სფეროებია განათლება და გადამზადება, კარგი მმართველობა, ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდა და კლიმატისადმი ადაპტაცია, რაც კარგ საფუძველს ქმნის ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

Switzerland was strongly committed to the development of the 2030 Agenda and is now working to implement it through its foreign policy and development cooperation. We focus on education and training, good governance, inclusive growth and climate adaptation as the foundation for sustainable development in Georgia.

პატრიკ ფრანცენი
შვეიცარიის ელჩი
საქართველოში

H.E. Patric Franzen
Ambassador of Switzerland
to Georgia

საქართველოს რეგიონები განვითარების უდიდესი წყაროა. ამ შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება სწორი პოლიტიკის გატარებას და მოქალაქეთა მეტ ჩართულობას მოითხოვს. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მდგრადი განვითარების დღის წესრიგი სიღარიბის შემცირების, გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების და ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვის გზაა.

Georgia's regions are a great source of developmental opportunities that can be unlocked by the consistent policies and a greater engagement of citizens in the development process. In Georgia, as in many other countries, the commitment to sustainable development is the way to tackle poverty, address environmental challenges and enhance our joint action for human rights and equality.

ელიზაბეტ რუდი აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი
საქართველოში

Elizabeth Rood Chargé d'Affaires, a.i., US Embassy to Georgia

საქართველოში გარემოს დაცვა ხშირად გამწვანებასთან ან დასუფთავებასთან ასოცირდება. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ სხვადასხვა სახეობის ცხოველები ასევე საჭიროებენ დახმარებას. ჩვენ გვინდა, რომ ადამიანებმა გარეულ ცხოველებზე ზრუნვა დაიწყონ. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ბიომრავალფეროვნება შენარჩუნდეს და იშვიათი სახეობების გადარჩენაზე ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა იგრძნოს. მათზე ზრუნვა ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია.

In Georgia, environment protection is usually associated with planting trees and picking up trash, though it's often forgotten that we have a variety of wild animals' species and they need our protection too. Our goal is to encourage people to take more care of the wildlife. It's crucially important to save Georgia's biodiversity. People need to take more responsibility for the protection of endangered species, it is our common civic duty.

მზია შარაშიძე
თბილისის ზოოპარკის
ხელმძღვანელის მოადგილე

Mzia Sharashidze
Deputy Head of the Tbilisi Zoo

ვფიქრობ, რომ ტურიზმის განვითარების კუთხით, რაჭის მთავარ კოზირს ჩვენი ბუნება, ჩვენი ხვანჭკარა წარმოადგენს, და სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვიფიქროთ რეგიონის განვითარებასა და პოპულარიზაციაზე. ასევე, ვფიქრობ, რომ საჭიროა თანამედროვე, საინტერესო და მიმზიდველი ტურისტული ობიექტები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორთა ნაკადს.

I believe that Racha's natural beauty and the endemic varieties of grapes are the main assets in terms of touristic development of our region. At the same time, we need modern, attractive and fascinating touristic venues too to bring more visitors to the region.

გიორგი ისაკაძე სასტუმრო კომპლექსის Glamping დამფუძნებელი

Giorgi Isakadze Founder and owner of the resort Glamping in Ambrolauri

საქართველოში ჯერაც ბევრია გასაკეთებელი გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებული ქალების რაოდენობა 20 პროცენტს არ აღემატება, მაშინ, როდესაც ტექნოლოგიები ყველაზე პერსპექტიული სამუშაო სფეროა, რომელიც ეკონომიკური წარმატებისა და საკუთარი შესაძლებლობის განვითარების საშუალებას აძლევს ადამიანებს. გოგონების დაინტერესება ტექნოლოგიებით ბავშვობიდან უნდა დავიწყოთ. ეს მნიშნელოვანია არა მხოლოდ ქალებისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის.

Gender equality remains a challenge in Georgia. Women hold only 20% of jobs in the field of technology which creates most wanted and best-paid professions and gives people an opportunity to become economically sustainable and fully realize their potential. It's vital to educate girls in technology-related subjects and give women a chance to join the ranks of tech-professionals. By this, we will support economic empowerment of women and will promote the national development.

ნანა დიხამინჯია
ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

Nana Dikhaminjia
Professor of Ilia State
University

ფოტოგრაფები:
ვლადიმირ ვალიშვილი
ლელი ბლაგონრავოვა
ანკა გუჯაბიძე

Photographers:
Vladimir Valishvili
Leli Blagonravova
Anka Gujabidze